საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №63/ნ

2019 წლის 1 აპრილი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონის (№ 3024-რს) მე-2 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებაში (სსმ, №117, 15/09/2010, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.022.016001) და ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების:

1. მე-8 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი^{1}“ ქვეპუნქტი:

„ი^{1}) მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა მიღების მიზნით, დაწესებულების მიერ მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში ასახული ინფორმაციის სისწორის გადამოწმება და მასზე შესაბამისი რეაგირება;“.

2. მე-10 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შედგენილ სპეციალურ ანკეტა-კითხვარში ასახული ინფორმაციის (გარდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა მიღების მიზნით დაწესებულების მიერ მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში ასახული ინფორმაციისა) სისწორის გადამოწმება და მასზე შესაბამისი რეაგირება, კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოსთან თანამშრომლობით;“;

3. მე-11 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შედგენილ სპეციალურ ანკეტა-კითხვარში ასახული ინფორმაციის (გარდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა მიღების მიზნით დაწესებულების მიერ მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში ასახული ინფორმაციისა) სისწორის გადამოწმებისა და მასზე შესაბამისი რეაგირების მიზნით რეესტრის სამმართველოსთან თანამშრომლობა;“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის მინისტრი — **მიხეილ ბატიაშვილი**